



2023 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 84 (ოთხმოცდაოთხი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 78 (სამოცდათვრამეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 5 (ხუთი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ფიქსირდება 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას იყენებს შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს საგადასახადო კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 2 (ორი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ერთ (1) განცხადებაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო ერთ (1) განცხადებაზე საჯარო ინფორმაცია არ გაცემულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ფიქსირდება ერთი (1) ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 23 (ოცდასამი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს





საგამომიებო სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 17 (ჩვიდმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო ექვს (6) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ვინაიდან განმცხადებლების მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაციის კატეგორიას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურში ფიქსირდება ორი (2) ადმინისტრაციული საჩივარი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 10 (ათი) განცხადება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 8 (რვა) მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო 2 (ორი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში ფიქსირდება ერთი (1) ადმინისტრაციული საჩივარი.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 5 (ხუთი) განცხადება. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2 (ორი) მათგანზე გაიცა საჯარო ინფორმაცია, ხოლო 3 (სამი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ფიქსირდება ერთი (1) ადმინისტრაციული საჩივარი.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახური

სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 7 (შვიდი) განცხადება. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვს (6) მათგანზე გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურში ფიქსირდება 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურში საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.





საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1005 (ათას ხუთი) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 691 (ექვსას ოთხმოცდათერთმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 152 (ას ორმოცდათორმეტი) განცხადება. სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 162 (ას სამოცდაორი) განცხადებასთან დაკავშირებით. სსიპ - შემოსავლების სამსახურში ფიქსირდება 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ დავით გამყრელიძე - სახაზინო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური);
- ✓ სოფიო ბერიანიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური);
- ✓ დინარა ჩუბინიძე - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ ომარ ოქროპირიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია);
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).

